საქართველოს თავდაცვის მინისტრის
ბრძანება N MOD 5 16 00000608
2016 წლის 28 ივნისი ქ.თბილისი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი ბინების საკუთრებაში გადაცემისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 ნოემბრის №297 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ,,საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი ბინების სამსახურებრივ სარგებლობაში/საკუთრებაში გადაცემისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 4 აპრილის №MOD 8 14 00000441 ბრძანებით შექმნილმა კომისიამ იმ პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, რომლებმაც იმსახურეს და დაასრულეს საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 19 მარტის N135 ბრძანებით დამტკიცებული კონტრაქტი (შემდეგ-კონტრაქტი), განახორციელოს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით, ქულათა ჯამის თანმიმდევრობის შესაბამისად:

ა) გარდაცვალება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას - 50 ქულა;

ბ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება/მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი - 45 ქულა;

გ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება/მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი - 40 ქულა;

დ) სოციალური დახმარების ,,საარსებო შემწეობის" მიმღები ოჯახის წევრი - 35 ქულა;

ბრძანება N MOD 9 16 00000846 10.09.2016 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

ე) მრავალშვილიანის სტატუსი (4 და მეტი შვილი) ან არასრულწლოვანი შვილის ყოლა, რომელსაც დადგენილი აქვს ,,შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი''-ს სტატუსი - 30 ქულა

ბრძანება N MOD 9 16 00000684 19.07.2016 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;
ბრძანება N MOD 7 16 00000718 25.07.2016 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

ვ) ამ ბრძანების ძალაში შესვლამდე პირის საკუთრებაში საცხოვრებელი ფართის არქონა - 25 ქულა;

ზ) პირის საკუთრებაში საცხოვრებელი ფართის არქონა, როდესაც ის სარგებლობს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე ან სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართით - 20 ქულა;

თ) პირის საკუთრებაში საცხოვრებელი ფართის ქონა, რომელიც არ არის გადაცემული სახელმწიფოსაგან - 15 ქულა;

ი) ნამსახურობა - 1,5 ქულა ნამსახურობის 1 წელზე.

2. თუ პირის მიმართ:

ა) მიმდინარეობს სისხლის სამართლებრივი დევნა, რომელიც სავარაუდოდ უკავშირდება კონტრაქტის მოქმედების პერიოდში პირის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობას/არაჯეროვან შესრულებას, საკითხის განხილვა ჩერდება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე/სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტამდე;

ბ) სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილ იქნა განაჩენი ისეთ ქმედებაზე, რომლის გამოვლენაც კონტრაქტის მოქმედების პერიოდში გამოიწვევდა კონტრაქტის ვადამდე შეწვეტას, საკითხი პირის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შესახებ არ განიხილება.

3. ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თანამიმდევრობა განისაზღვროს ამავე პუნქტში მითითებული კრიტერიუმების მიხედვით, მიღებული ქულათა ჯამის სიდიდის შესაბამისად. ქულათა ჯამის თანაბრობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება იმ პირს, რომელსაც აქვს უფრო ხანგრძლივი ნამსახურობის ვადა.

4. ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირთათვის საცხოვრებელი ფართის პრიორიტეტულად საკუთრებაში გადაცემა განხორციელდეს თუ პირი წერილობით ადასტურებს, რომ თანახმაა, საკუთრებაში გადაეცეს მის სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართი და ,,საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი ბინების სამსახურებრივ სარგებლობაში/საკუთრებაში გადაცემისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 4 აპრილის №MOD 8 14 00000441 ბრძანებით შექმნილი კომისია მიიღებს რეკომენდაციას პირისათვის მის სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

5. თუ ბრძანების პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირი არ არის თანახმა, რომ საკუთრებაში გადაეცეს მის სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართი, მისი უზრუნველყოფა განხორციელდეს მხოლოდ ამ ფართით სარგებლობის შეწყვეტის შემდეგ.

6. ,,საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი ბინების სამსახურებრივ სარგებლობაში/საკუთრებაში გადაცემისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 4 აპრილის N MOD 8 14 00000441 ბრძანებით შექმნილმა კომისიამ უზრუნველყოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირთა არსებული სიის შესაბამისად მონაცემთა დამუშავება და ამავე ბრძანებით გათვალისწინებული კრიტერიუმების მიხედვით შეადგინოს საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თანმიმდევრობა დაჯამებული ქულების შესაბამისად.

ბრძანება N MOD 0 17 00000639 02.08.2017 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

6[1]. ,,საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი ბინების სამსახურებრივ სარგებლობაში/საკუთრებაში გადაცემისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 4 აპრილის №MOD 8 14 00000441 ბრძანებით შექმნილ კომისიას, ამავე ბრძანების მე-3 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებზე შეუძლია გაავრცელოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმები.

ბრძანება N MOD 9 16 00000684 19.07.2016 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

7. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრი თინათინ ხიდაშელი